3–4 1995

ISSN 0132–6015

ნიანგი

ავს თუ ავი არ ვუწოდო,
კარგს სახელად რა დავარქო?

სატირისა და იუმორის
ჟურნალი

136
1995

თემა ლ. ჩანტლაძისა, ნახ. ჯ. ლოლუასი

ძვირფასო მკითხველო, საქართველოს მოქალაქეებო, ბატონებო და ქალბატონებო!

ხმები „ნიანგის“ გარდაცვალების თაობაზე არცთუ მაინცდამაინც გაზვიადებული გახლდათ. სასიცოცხლო არტერიების გადაკეტვის გამო იგი კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამჟამად მიმდინარეობს მისი რეანიმაციის პროცესი. სიცოცხლისა და შემოქმედებითი ენერგიის პირველი ნიშანწყალი უკვე გამოჩნდა.

— მთავრობავ, მიშველე! — აყვირდა ნიანგი.

— ხელი გაანძრიე და გეშველება! — ჩამოსძახეს მთავრობიდან.

ხელ-ფეხს კი არა, ტვინსაც არ მივცემ მოსვენებას, ოღონდ საშველი გამოჩნდებოდეს. თქვენი იმედი მაქვს, ძველო და ახალო მეგობრებო!

არ მომკვდარა, ხალხო, მხოლოდ სძინავს!

თქვენი „ნიანგი“

პარლამენტის საათი

სპიკერი: — ყველას ვაფრთხილებ, ვინც აქ არის და ვინც აქ არ არის, თერთმეტ საათზე ჩავატარებ რეგისტრაციას და ამოვიკითხავ სიას... არა, კაცო... კაი, რა!.. გამცდენების მშობლებს დავიბარებ... ჰე-ჰე!.. ვინა?.. კი, კაცო, ჩაწერილი მყავს... ბატონო დეპუტატებო! მოვიქცეთ ისე, როგორც დეპუტატებს და ჩვენს პარლამენტს ეკადრება, ნუ ვიხულიგნებთ. ვინც უწესოდ იქცევა, ის არის უწესო!.. ჩავატაროთ ერთი გემრიელი სხდომა დღის წესრიგის მიხედვით, მოვძებნოთ კონსენსუსი და ჩავეხუტოთ ერთმანეთს... მერე ყველა ჩვენ მოგვბაძავს... მეოთხე!..

სქელშავწარბა ქალბატონი: — მითომ რატო უნდა ჩაგეხუტო?..

სპიკერი: — მე თქვენ არც მიგულისხმებიხართ, ქალბატონო... რაზე გნებავთ? დღის წესრიგზე?.. მეხუთე მიკროფონი.

მელოტი პარლამენტარი: — უფრო სწორი იქნებოდა

და გეთქვა არა დღის წესრიგი, არამედ დღის უწესრიგობა, რომელიც ყოველთვის იქნება პარლამენტში, ვიდრე რუსის ჯარი არ გავა ჩვენი ტერიტორიიდან. ვერ გავიგეთ ერთი რამ: მთავარია სამშობლო, ქვეყანა და არა დღის წესრიგი. ეს ყველამ უნდა შეეგნოთ. მე, მაგალითად, როცა მეკითხებიან ვინა ვარ, სახელსა და გვარს არ ვეუბნები... ეუბნები, რომ საქართველოდან ვარ! დროა, შევაგნოთ ეს ამბავი! გმადლობთ ყურადღებისათვის.

სპიკერი: — გმადლობთ... მესამე...

„ბაბოჩ ...ანი“ პარლამენტარი: — მე ერთი ანეკდოტით მინდა დავიწყო, თქვენ იცით, რომ მე მიყვარს... ჰო, ლომი დაიჭირეს და გალიაში ჩასვეს. მიადგა კურდღელი და ეუბნება: ლომო, თავი არ მომჭრა, შენს თვალზე ცრემლი არ დამანახოო. ლომი ატირდა... ჰე... ესეო, რა!.. ლომები დაჭერილები არიან და კურდღლები ვაჭკაცობენ. იცით რაშია საქმე, ეგეთი კურდღლები ყოველთვის იყვნენ, მაგრამ ლომის გალიასთან მისვლას... ის მინდოდა მეთქვა, რომ ვერავინ ვერავის ვერ მოატყუებს. რად გინდათ ეგეთი რამე, ხალხო, თქვით რა გულახდილად, თქვენთვისვე ჯობია. არ გინდათ მიკიბულ-მოკიბული... იარაღი გინდათ? დავდებთ იარაღს! ოღონდ, მერე ნუღა მოგვადგებით... როცა გაგიჭირდებათ, რა!.. ავტომატის დანახვაზე მე და ჩემს ბიჭებს გული გვერევა... დავდებთ! ვსიო!.. მაფიაო, გაიძახით... ადრე არ იყოო... შე კაი კაცო, ადრე რომელი მაფია გაიხარებდა, კომპარტია თვითონ იყო მაფია... მაშ! ეგრეა!..

სპიკერი: — გმადლობთ!.. მოემზადეთ რეგისტრაციისათვის... ვინც დარბაზშია და ვინც დარბაზში არ არის... ჩართეთ... მიმდინარეობს რეგისტრაცია... რეგისტრაცია მიმდინარეობს... გთხოვთ ყურადღებას, ბატონო დეპუტატებო!.. მიმდინარეობს რეგისტრაცია... რეგისტრაცია მიმდინარეობს!.. რაშია საქმე? მეშვიდე...

ჭალარათმიანი პარლამენტარი: — საქმე იმაშია, რო რეგისტრაცია ვერ გავიარე...

სპიკერი: — რატომ ვერ გაიარე?!

პარლამენტარი: — ვერ მოვასწარი, გამომრჩა...

სპიკერი: — გამაგიჟებს ეს ხალხი, ლედას გეფიცები... სხდომას დახურულად ვაცხადებ!.. ქვორუმი მაინც არ არის!.. კარგად ბრძანდებოდეთ!

დარბაზში ყაყანი, ყვირილი და ლანძღვა-გინება ისმის.

შემსწრე

— ალმასხან! ასე თუ წავიდა საქმე, ჩემი ეზოდან შენს ეზოში გადმოსვლაზე ვიზა ღამჭირდება.

ნახ. ჯ. ლოლუასი
თემა ე. სიხარულიძისა

საბაზრო ეკონომიკა

რომ ვთქვა, ეკონომიკის
მესმის ინჩიბინჩი, —
არ ვიქნები მართალი,
არ მაქვს ამის ნიჭი!
მე არ მესმის ბაზრობა
უსაქონლო ბაზრის,
როცა გადამყიდველი
თავზე ურცხვად გვაზის!

რომ მეგობა ქართველი
არამ ლუკმას არ ჭამს, —
ამ დროს უმეტესობა
მოგვევლინა ვაჭრად!
არ ვარ წინააღმდეგი
რამე ახალ აზრის,
მაგრამ ეს ქორ-ვაჭარი
თავზე რატომ გვაზის?!
ქალაქს არ ჰგავს ქალაქი,
აგვერია თავგზა,
გადაიქცა თბილისი
ჯიხურების ბაზრად!..
ქუჩა დახლით აივსო,
ვეღარ დადის ხალხი,
ტროტუარის სიგრძეზეც
გაჭიმულა დახლი!..
ბაზრის ეკონომიკა
თუ ეს არის მხოლოდ,
ღმერთმა, ნუ ქნას, გაბაზრდეს
ამ ბაზრობის ბოლო!..

ბურამ კლდიაშვილი

ისტორიის ფრაგმენტები

როგორ „დაუფუტვინა“ კრემლის ერთმა დარაჯმა

ეს მოხდა ბოლშევიკების მე-18 პარტკონფერენციის ბოლო დღეს. როგორც ყოველთვის, მზადდებოდა გრანდიოზული კონცერტი, რომლის პროგრამაში ჩართეს სცენა სპექტაკლიდან „კრემლის კურანტები“. მსახიობებს, დიკისა და სკორობოგატოვს უნდა განესახიერებინათ ლენინისა და სტალინის საუბარი. ყველასათვის მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ კრემლის შენობაში არ იყო თავისუფალი ოთახი საგრიმიოროდ გამოსაყენებლად. მსახიობები ჩასხდნენ მანქანაში, გავარდნენ თეატრში, გაიკეთეს გრიმი და უკვე როლში შესულები მოადგნენ კრემლს. დაცვამ მანქანა გააჩერა. სტალინის როლის შემსრულებელმა დიკიმ, რომელსაც საშვის და საბუთის მოძებნა დაეზარა, იმპროვიზებული ექსპერიმენტი მოაწყო — ოდნავ გადმოჰყო თავი მანქანის ფანჯრიდან და ქართული აქცენტით მიმართა ყველაზე ახლო მყოფ მცველს:

— ტავარიშჩ, ნადეიუს, ვი ნას პრაპუსტიტე?..

მცველმა, რომლის ჩინი და ვინაობა ისტორიამ არ შემოგვინახა, ჯერ პირი დააღო, მერე ფიცარივით გახევდა და ძლივს ამოღერღა:

— ტკ ტჩნო, ტშჩ სტალინ!

კმაყოფილმა დიკიმ თავი დაუქნია, სავარძელზე გასწორდა და ასანთი გაჰკრა ჩიბუხის გასაჩაღებლად. მცველმა მექანიკურად, დაუფიქრებლად ანიშნა დანარჩენებს, რომ მანქანა გაეტარებინათ, მაგრამ იმავ წამს გააცნობიერა, რომ ჰკარგავდა ბედნიერ შანსს, ერთხელ მაინც ასე ახლოს თვალდათვალ ენახა ყველა დროის უდიდესი გენიოსი. ამ შესაძლებლობით აღფრთოვანებული და გაოგნებული მცველი დაიხარა და უკვე დაძრული მანქანის ფანჯრებში შეიხედა. მას სტალინის კიდევ ერთხელ ახლოდან ნახვა უნდოდა, მაგრამ რაც მანქანაში დაინახა, იმან ხომ კიდევ მეტი თავზარი დასცა — უკანა სავარძელზე, არც მეტი, არც ნაკლები, ვლადიმერ ილიჩ ლენინი იჯდა და ალერსიანად მიჯუტული თვალებით უმზერდა.

— გმადლობთ, გეთაყვა! — უთხრა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა.

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მცველს მუხლები მოეკვეთა და ჩაიკეცა.

ასე ჩაკეცილი გააქანეს ფსიქიატრიულში.

როგორ კოცნიდა ლენინი სტალინს და პირიქით

ვინც ორმოცდათექვსმეტის მარტის მღელვარე დღეებს შესწრებია თბილისში და მით უმეტეს, თუ იმ ამბების მონაწილეც იყო, არასოდეს დაავიწყდება მდორე საბჭოთა სინამდვილისათვის უჩვეულო მძაფრი ეპიზოდები. როგორც ჩვეულებრივ ხდება, სიმძაფრეს და მასების აღტყინებას არაერთი კურიოზიც ახლდა თან. მასა გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ სტალინის ავტორიტეტს გადაარჩენდა ლენინის გვერდით მისი მოხსენიებითა და დაყენებით.

ამ გაწყობილების გავლენამ ჩამოიყვანა თბილისში ორი გორელი მსახიობი, რომლებიც მშობლიური ქალაქის თეატრის სცენაზე ლენინისა და სტალინის როლს ანსახიერებდნენ. ცხადია, თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე შესაბამისი გრიმითა და ჩაცმულობით მოგზაურობდნენ სატვირთო მანქანაზე ამხედრებულნი. ხმაურსა და ხალხმრავლობაში პიესისეული ტექსტის თამაშს აზრი არ ჰქონდა, არა-და, უკვე აღარ იცოდნენ რა გაეკეთებინათ, რა მოემოქმედათ.

ვიღაცამ იყვირა: „აკოცეთ ერთმანეთს!“

ოვაციებისა და ტაშის გრიალის თანხლებით იყო გაუთავებელი ხვევნა-კოცნა — ჯერ ლენინი გაუწვდიდა ხელს და სიტყვებით: „გამარჯობა, მგზნებარე კოლხიდელო!“, გადაკოცნიდა, მერე სტალინი ჩაეხვეოდა ფრაზით: „გამარჯობა, მთის არწივო!“

არ უშველა ლენინის ხვევნა-კოცნამ, სტალინი კულტად გამოაცხადეს და მალე მავზოლეუმიდანაც მიაბრძანეს.

ისტორიკოსი

კამერული მუსიკის მოყვარულთათვის: რექვიემი „ოთხმოცდათექვსმეტი პრიმ“.

შალიკოს სიზმარი

როცა ჩემს მახსოვრობაში ტელონები გაჩნდა პირველად, ამოვიოხრეთ და ხელი ჩავიქნიეთ: წახდა, ძმაო, ჩვენი საქმე, ნახე, სატელონოდ გაგვიხდაო.

მერე და მერე ტელონები გაქრა და ზედ ის პროდუქტებიც მიჰყვა, რომელსაც ტელონებით ვდებულობდით. ახლა ის დრო დაგვიდგა, როცა ტელონები სანატრელი გაგვიხდა.

ყოფილ სამეურნეო მუშაკს, თავის დროზე ლეგალური ხელფასით ცოლ-შვილის შემნახავ შალიკო მეხუზლას ამას წინათ უცნაური რამ ესიზმრა: ვითომც სამსახურში ყველანაირი პროდუქტის ტელონები დაურიგეს და მათ შორის ორი დიახაც გასაკვირი: ერთი — მსურველთა მოზღვავების გამო ოჯახზე თითო ტელონი უცხოეთში საცხოვრებლად წამსვლელთათვის და მეორე — ცოლქმრული „იმის“ შესასრულებელი, ყოველთვიური, განსაზღვრული რაოდენობით დაფიქსირებული. მოიჩქაროდა გასარებული შალიკო სახლისაკენ და გზადაგზა ტელონებს ათვალიერებდა, ეფერებოდა. უცებ... შალიკოს კინაღამ თვალთ დაუბნელდა — აღარსად იყო ცოლქმრული „იმის“ შესასრულებელი ტელონები, მაინცდამაინც ის დაჰკარგოდა გზაში. რა ვქნა ახლა, ჩემს ქეთოს როგორ მივადგეო, ფიქრობდა გულგახეთქილი. მაინც გარისკა და შეაპარა:

— ქეთინო, ქალბატონო ქეთევან, ჩემო ქეთო, იმ საკითხზე გაწუხებთ...

— კი, ბატონო, წარმოადგინეთ ივლისის ტელონი და დიდი სიამოვნებით, არაფერს დაგაკლებთ.

— წარმოგიდგენდი, მაგრამ ტელონი დავკარგე... იქნებ აგვისტოს თვის ანგარიშში მომიხერხო, ან — კომერციულ ფასებში. — აბლუკუნდა შალიკო.

ქეთომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: მთავრობამ მაგ ტელონი ტყვილა კი არ გამოიგონა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელი ეტაპიაო. უტელონოდ „მაგ საქმეზე“ არც იფიქროო.

შალიკოს უცებ კარგა ხნის პენსიონერი ძმაკაცი, სერგო, გაახსენდა და ნომერი აკრიფა:

— სერგო, ე ბიჭო, მიშველე: ცოლქმრული „იმის“ ტელონები დავკარგე და მეცი პატივი — შენ-ხომ დიდი ხანია მაგენს აღარ იყენებ!

— კი, ბატონო, დაგითმობ, — შეწუხდა სერგო, — მარა რად გინდა, ჩვენ, პერსონალურებს, ვარდისფერი ტელონები გვაქვს, მაგ ტელონზე შუბლზე კოცნის მეტი არაფერი გერგება!

დაახეთქა ყურმილი შალიკომ, დაიხურა შლაპა და გამოვარდა ქუჩაში. მიდიოდა გულდაძმარებული და შურდა ქუჩის ძაღლების, რომლებსაც არც ვარდისფერი ტელონი ჭირდებოდათ და არც სალათისფერი.

— ვა, შალვა, რავა ხარ, შე ძველო! — გამოაფხიზლა მოულოდნელმა შეძახილმა, — რა ცხვირი ჩამოგიშვია?

შალიკოს წინ ტოშია იდგა, ყოფილი პარტკომი. როცა მისი გასაჭირი შეიტყო, აჭიხვინდა:

— პირველი რომ გავარდი პარტიიდან, ახია შენზე! ა, ნახე, რა ტელონები დაგვირიგეს პარტიის წევრებს მაგ საქმისთვის — სადაც გინდა, როცა გინდა, ვისთანაც გინდა!..

— რა პარტიაა ასეთი?

— სკკპ.

— სკკპ?! — განცვიფრდა შალიკო.

— კი, საქართველოს კაპიტალური კონსოლიდაციის პარტია. შემოდი სკკპ-ში და აგავსებ მაგ ტელონებით.

— არ მინდა სკკპ! — აყვირდა შალიკო და გულგახეთქილს გამოეღვიძა...

— შალიკო, რა მოგივიდა?! — გამოეღვიძა ცოლსაც.

— არაფერი, ტელონები დავკარგე...

— რა ტელონები, კაცო?!

— ვხუმრობ... თუ შეიძლება, შენთან გადმოვწვები, — უთხრა შალვამ ქეთოს და თანხმობისმიუღებლად შეუდგა ცოლქმრული „იმის“ უტელონოდ შესრულებას.

კინკილა

„დიდი კაცი“ რომ გავხდი...

ამბობდნენ და არ მჯეროდა, — რა სცოდნია სავარძელს, —
აღარა ვცნობ ჩემს ძმაკაცებს — აღარც ახალს,
აღარც ძველს!
დღეს იმათთვის სად მცალია, საქმეში ვარ ჩაფლული,
დამავიწყდა დედა, და-ძმა, ბიძაშვილი, ნათლული!..
ფუტკარივით გარს მეხვევა მლიქვნელების არმია,
მინდა ყველა ქედს მიხრიდეს (კაცის გული ხარბია!).
ხელისგულზე მატარებენ, სულსაც კი მიბერავენ,
„უიჩოდ“ და „უბატონოდ“ ხმას ვერა მცემს ვერავინ!
აი, როგორ მომმართავენ: „გთხოვთ, ბატონო პროკოფიჩ,
თქვენებურად დაეხმარეთ იმ ნიჭიერ, ობოლ ბიჭს!“
„თქვენ ხართ ღმერთი, განა კაცი! ყველას, ყველას
უყვარხართ,
ნიჭით დაჯილდოებული, გეფიცებით, უხვად ხართ!“
„რა ოჯახში გაიზარდეთ, რა სკოლაში სწავლობდით?
გატყობთ, მიჭანს მიაღწიეთ მარტო ნიჭის წყალობით!“
„თქვენი შრომა მძიმე არის, ზოგს ჰგონია ადვილი,
ქალაქის მერს უნდა ვთხოვოთ, რომ დაგითმოთ ადგილი!“
„თქვენ ხართ ეროვნული გმირი, გიცნობთ მიტინგებიდან,
მაგრამ გადატვირთული ხართ და არ დაგღლით ქებითა!“
„მახსოვს, ერთხელ გარს გეხვიათ ბავშვები და ქალები,
წვერი გქონდათ მოშვებული, დროშას აფრიალებდით!“
„თვით ერეკლე მეფის ჯარშიც რომ გებრძოლათ პაწანას,
ალბათ, დედას ვუტირებდით დამპალ აღა-მაჰმად-ხანს!“
„როგორც ვაჟკაცს, როგორც რაინდს დღეს არა გყავთ
ბადალი,
აღმაშენებლის დროს, ალბათ, იქნებოდით სარდალი!“
„შოვლენა ხართ, ეს არ არის მარტო სიტყვა ლიტონი,
რომ გიცნობდეთ, მთავარ მრჩეველად მიგიწვევდათ
კლინტონი!“
„ხართ უმწიკვლო პიროვნება, მართლაც გასაკვირველი,
გვწამს, მოშავალ პარლამენტში თქვენ იქნებით პირველი!“
„თქვენს ჭკუას და ავტორიტეტს მთელი ჯრი ენდობა,
ჩვენი აზრით, თქვენ გეკუთვნით ნაღდად პრეზიდენტობა!“
დღეს, დეპეშით, პარლამენტი იუბილეს მილოცავს
და საღამოს, ჩემს ბანკეტზე, ალბათ, დავლევ ღვინოსაც!
სიხარულით ცაში ვფრინავ, ფრთების ნაცვლად
ხელ-ფეხს ვშლი!..
გამეღვიძა... თურმე ვწევარ გამოსაფხიზლებელში!..

ვანო ცინცაძე

ჩაცხრაკლიტულები

იყო ერთი კაცი, რომელიც დიქტატორის თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ თავისი საქციელითა და ასე ვთქვათ, „იმიჯით“, ვერასგზით ვერ დაარქმევდი დიქტატორს. კრიტიკას და პოლიტიკურ გაბიაბრუებას რომ იტანდა, ეგ არაფერი. ყველაზე გასაკვირი ის გახლდათ, რომ პირად ლანძღვა-გინებასა და შეურაცხყოფაზეც ოდნავ რეაგირებდა: თავს მიაბრუნებდა და მჟავე ფიზიონომიას დაიყენებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ეგ „გრიმასაც“ დიქტატორულ ნიღბად ჩაუთვალა ერთმა მჩქეფარე ქალბატონმა და არ აპატია. თვითონ კი ყველას ყველაფერს პატიობდა და არავის იჭერდა.

„ეს თუ დავიჭირე, ის როგორღა გავუშვაო“, — ფიქრობდა. მართლაც-და, იმდენი იყო დასაჭერი, ვერ გადაწყვეტდი, რომლისგან დაგეწყო. ერთ მშვენიერ დღეს მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ადგა და დაიჭირა ეს, რომლის დაჭერასაც ყველაზე ნაკლებად ელოდა ყველა. რაკი „ეს“ დაიჭირა, „იმის“ დაჭერა პრობლემა აღარ იყო. ჰო-და, რაკი „ისიც“ დაიჭირა, სულ გრიალ-გრიალით წავიდა საქმე: დაიჭირა და დაიჭირა, ჩასვა და ჩააცხრაკლიტულა.

დაჭერით კი დაიჭირა, მაგრამ როცა მიიხედ-მოიხედა, გარეთ ვეღარავინ ვერ ნახა, ვისი დაჭერაც შეიძლებოდა. უკვე დაჭერილს ხელმეორედ ხომ ვერ დაიჭერდა? რა უნდა ექნა: ადგა და საკუთარი თავიც დაიჭირა.

ინსპექცია

ცნობილი გახდა, რომ ქურდობდა ის, ვისაც ქურდობა უნდა აღეკვეთა.

დაუნიშნეს ინსპექტორი.

ინსპექტორმა აიღო იმისაგან, ვისაც ქურდობა უნდა აღეკვეთა, მაგრამ თავად ქურდობდა.

ინსპექტორს დაუნიშნეს ინსპექტორი.

ცნობილი გახდა, რომ ინსპექტორის ინსპექტორმა აიღო ინსპექტორისაგან, რომელმაც აიღო იმისაგან, რომელსაც ქურდობა უნდა აღეკვეთა, მაგრამ თავად ქურდობდა.. ინსპექტორის ინსპექტორს დაუნიშნეს ინსპექტორი.



ცნობილი გახდა, რომ ინსპექტორის ინსპექტორის ინსპექტორმა აიღო ინსპექტორისაგან, რომელმაც თავის მხრივ, აიღო ინსპექტორისაგან, რომელსაც ქურდობა უნდა აღეკვეთა...

ინსპექტორის ინსპექტორის ინსპექტორის... ინსპექტორის დანიშვნის შემდეგ ქურდობა მართლაც აღიკვეთა, ვინაიდან ქვეყანაში მოსაპარავი აღარაფერი დარჩა.

იგავთმეტყველარე

ნახ. თ. ფაფერაშვილისა

გალასებური

„სვინტრი იგი“...

ხან — ნამყოში, ხან — დღეისდღეს,
ხან — მერეთში,
„კაცი“ იგი დასდევს ტალანტს
იმერეთში.
ხან — ფიჯაკში, ხან — ბერეტში,
ხანაც თორში,
ჩამოგახრჩობს, ან მიგახვრეტს,
ერთი — ორში.

— ‖ —

წვრილფეხობის მარათონი,
ქონდრისკაცთა შარიშური,
შარი, შურის გადამწონი,
შური... შარი... შარი... შური...

მორისისებური

„ვალიდოლივით ქათქათა მთვარე...“

ღამეა, ცხელა, წნევა აჰყვა ზოლს,
ბნატრობ ისე, ვით ორ აბ პაპაზოლს.
ბრუნავს, ტრიალებს ცხოვრების
კალო,
დგას ცისარტყელა ჭრელი ხიდივით.
სად დამეკარგე, პატარა ქალო,
მჭირდები ფრანგულ
სტრეპტოციდივით.

— ‖ —

„... როცა გათენდა,
ალუბლის ხე ჰყვაოდა ბაღში“.
„ნაადრევი გაზაფხული“.

ნაადრევი სკლეროზი

ავად ვიყავი, წუხელ მეძინა,
მეჩვენებოდა, რომ ვიღაცა
შემოშვებას ითხოვდა ჩემგან...
როცა გათენდა,
ჩემს ვაჟიშვილს ეძინა ბაღში.

ტარიელისებური

„თავი — შენს ლოდებზე დასახლელი...“

ნეტა საით წახველ და სად ები?
მაქვს თავი — შენს ბალიშზე
დასადები.
როგორ დავიჯერო არსად მელი,
ო, რა სათქმელი მაქვს, არსათქმელი,
მკლავი — მაგ შენს მკლავში
გასაყრელი,
გული — ყური უგდე, ო, რა გული —
კალმახია, არა — ორაგული.
მიაპყარ სმენა, მაგასა, ხელო,
გადი, რად მინდიხარ, გა, სახელო.
თვალო, სირცხვილით ვერ გასახელო,
ლექსო, რითმით თუ ვერ გასახელო!

ვახუშტისებური

— ვახუშტის ხომ იცნობ, ჯაფიით
მოკაიფეს?
— რას ქვია, ვიცნობ... ჰოდ, ეროვნული
რა კაცია — ბიბლიოთეკა
დადის მთა და ბარში, ეძებს
მარგალიტებს,
„გალსტუკიც“ კი არ აქვს, ნახე,
რა აცვია.
— ნეტაი, რატომ აღარ წერს
ლექსებს? —
წუხს, ვინც პოეზიის ნაღდი
ძმაკაცია, —
ვაჰ, როგორ მოთარგმნა ომარ ხაიამი,
შვიდჯერ გამაჟრჟოლა, რვაჯერ
გამაცია...
— ის ხომ აღარ არის, ვინც ლექსებს
უწერდა;
დაუწვეს სახლი და მის წინ აკაცია.

ლერი ჩანტლაძე

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ქუთაისური ხუმრობები

ბერვასი ვაშაძესა და ჟორა ერგემლიძეს არა მარტო ჭიათურასა და იმერეთში, არამედ საქართველოს მრავალ რეგიონში იცნობენ. მარგანეცის ქალაქის ამ კოლორიტულ ადამიანებს უამრავი მეგობარი ჰყავდათ ქუთაისშიც.

აწ გარდაცვლილი გერვასი ერთ-ერთი სასურსათო მაღაზიის გამგედ მუშაობდა, ხოლო ჟორია — მძღოლად.

— თუ გამიჭირდა და მსახიობი გამიხდა ავად, — იგონებდა ჭიათურის თეატრის მთავარი რეჟისორი საქართველოს სახალხო არტისტი პავლე ფრანგიშვილი, — ორივეს პირდაპირ შევიყვანდი სცენაზე და ეჭვი არ მეპარება რომ გამაწბილონო.

* * *

ბერვასის სიყრმის მეგობარი გახლდათ მისი მიწა-წყლის შვილი, აწ არარსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ქუთაისის განყოფილების უფროსი, ფრიად კეთილშობილი პიროვნება მიშა ჭოხორია და ხშირად ჩამოდიოდა მასთან სტუმრად.

— შვილივით ნაზარდი ინდაური დავკალი და თან ზედაშეც წამოვიღე, უშენოდ ლუკმა არ გადამდის ყელში! — მოულოდნელად მოინახულა მეგობარი გერვასიმ და თან ჟორია ერგემლიძეც ჩაიყვანა.

— არ მცალია, გადაუდებელი საქმე მაქვს! — იუარა მიშამ.

(დასასრული მე-10 გვერდზე)

ნახ. ბ. აბაშიძისა

თემა ლ. ჩანტლაძისა, ნახ. ბ. აბაშიძისა

თემა ლ. ჩანტლაძისა ნახ. ბ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა ლ. ჩანტლაძისა,
ნახ. ჯ. ლოლუანი

ნახ. თ. ფაფარაშვილისა

ახალი ბაბილონი
ნახ. თ. ფაფარაშვილისა

— ბოშო, ახლა უსაქმოდ ფონდრასიაც არაა, ჩვენი საპოჟნიკი. ცოტა ხანს ხომ უნდა განვერიდოთ როგორმე წუთისოფლის ამ ორომტრიალს. — დაუყვავა გერვასიმ.

— აგერ ჩემი მოადგილე წაიყვანეთ! — კვლავ თავს იკავებდა მიშა.

— ემაწვილო, მე თათბირს კი არ ვატარებ უშიშროების საკითხებზე, შენ მომენატრე და იმიტომ გამოვიარე კაი სამოყვრო გზა. — ჯერ იწყინა გერვასიმ, შემდეგ კრინით ჩაიღიღინა „გამოვიარე ხრეითი, ახლა იწყება ქეიფი...“

ქეიფი მეტად გულთბილ ვითარებაში ჩატარდა, ბევრი რამ მოიგონეს ჭიათურაში ერთად გატარებული დღეებიდან.

— მაინც გადმონაშთს რატომ გეძახოდნენ მაგ უღმერთოები, — ექიდნურად შეეკითხა მიშა გერვასის.

— გამჩენმა არ იცის მაგათი თავი, რომ ვერაფერი მიზეზი მიპოვეს, ყველი მინახეს მოძველებული და შარი მომდეს აშმორებულიაო, და ტყუილა არ გეძახიან, ძირმომპალი კაპიტალიზმის წარმომადგენელი ხარო!

— შენ რა უპასუხე მერე?

— ძირმომპალიო რომ მიძახით, ორმოცდაათი წელია და მაინც არ წაიქცა აქამდე, ესეც ჩემი ბრალი ხომ არ არის-მეთქი! დასასრულს მითხრეს — მაგ შენს პასუხს სხვა სარჩული დაედებაო!

— პოლიტიკური სარჩული არ დაუდოთ და სხვა რაც გინდათ ის ქენით-მეთქი. — მოკლედ მოვუჭერი რევიზორებს.

მეორედ უჩვეულო ვითარებაში მოხდა გერვასისა და ჟორიას ჩამოსვლა. უშიშროების განყოფილების ეზოში დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. მიშა პენსიაზე გასულიყო და ნევთობაზის უფროსად დაენიშნათ. სწორედ იმ დღეს ძერჟინსკის ძეგლის საზეიმოდ გახსნა იყო დანიშნული.

— რაღა მაინცდამაინც ძერჟინსკის უგებთ ძეგლს, სხვა ვერავინ შეარჩიეთ ვინმე ჩვენებური?! — ჩაილაპარაკა გერვასიმ.

ყველანი სახტად დარჩნენ. განსაკუთრებით შეცბუნდა ძეგლის ავტორი, რომელიც გურული სიფიცხით შეეპასუხა გერვასის.

— თქვენ იცით, რომ ძერჟინსკი შიშის ზარს სცემდა ყველას? აბა, თქვენი აზრით, ვისი ძეგლი უნდა დაგვედგა?

— ვისი და კალისტრატე ჩიკვაიძის, მამაჩემისაგან მახსოვს, ქუთაისზე კათოლიკეთა ძველ უბანში მისი სახლის წინ ვინც კი გაივლიდა, ელეთმელეთი მოსდიოდა. ნაფიც ვექილს და საზოგადო მოღვაწეს ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, განსაკუთრებული მეთვალყურეობა დაუწესეს. კალისტრატემ თავის სახლს წააწერა: „ჩეკა“, მაშინ ასე ეძახდნენ უშიშროების სამსახურს.

— რას ნიშნავს ეს? — შეეკითხნენ დაინტერესებულნი.

— რას ნიშნავს და კ. ჩ-ს, კალისტრატე ჩიკვაიძეს.

— ნამდვილად ასე იყო. — საუბარში ჩაება ცნობილი სკულპტორი, საქართველოს სახალხო მხატვარი ვალიკო მიზანდარი. — ჩვენებისგანაც მახსოვს, რომ მაშინ ესოდენ ფიგურირებდა ფრაზა „კალისტრატიზმი“. ეს ხდებოდა არა მარტო მისი განთქმული იუმორის გამო, არამედ ქველმოქმედების წყალობით. კალისტრატემ და მისმა მამამ ნიკომ, რაც კი ქონება გააჩნდათ, დიდი ნაწილი ეროვნული ბანკის გაძლიერებას მოახმარეს. როცა პეტერბურგიდან ქუთაისში საბანკო საქმეების წასამართავად გამოგზავნეს ჯერ ერემეევი და შემდეგ მელნიკოვი, კალისტრატემ ყველას გასაგონად სათათბიროზე განაცხადა: რას აწუხებდი ამ სიშორეზე მაგ ვაჟბატონებს, — თუ რამე ეკუთვნით, აქედან გავუგზავნიდითო!

— თუ ასე იყო საქმე, ჩვენ უფრო სხვანაირად მოვექცეოდით! — ღიმილით ჩაილაპარაკა მიშამ.

როგორც წესი, მეორე განყოფილებამ კარგად ჩაიარა. ხოლო დილით, მიშამ სტუმრები ქალაქგარეთ წაიყვანა, თანაც მოადგილე გააფრთხილა, დამაგვიანდება და ადგილზე იყავიო.

დილის 11 საათზე დაამთავრეს საუზმე და ის-ის იყო მანქანაში ჯდებოდნენ, რომ ქალაქიდან მომავალ „ვოლგაში“ მიშამ თვალი მოჰკრა მის მოადგილეს.

— ხომ მშვიდობაა? შეცბუნებული შეეკითხა მიშა.

— ყველაფერი წესრიგშია, ზესტაფონში მივდივარ სასწრაფო საქმეზე. მეგობარი „აგანგალი განგალის“ ფირფიტას გიშოვიო, შემპირდა.

— რა ყოჩაღი მოადგილე გყოლია! ჩემო მიშა, ამის შემხედვარე სამსახურში არაფერი არ გაგიჭირდება! — თქვა გერვასიმ და ახალგაზრდებს მაგრად ჩამოართვა ხელი.

— თქვენ დამელოდეთ და მალე მოგისწრებთ! — დაიბარა მოადგილემ და გზა განაგრძო. მართლაც, შებრუნდნენ რესტორანში და სუფრა განაახლეს. არ გასულა ნახევარი საათი და რესტორანში ვიქტორ კუპრაძე შემოვიდა, თბილისში მიემგზავრებოდა და ბორჯომის საყიდლად შემოიარა. მიშამ და მისმა ამფსონებმა ბატონი ვიქტორი მიიპატიჟეს. მომხიბვლელმა მრავალჟამიერმა ვიქტორს ყურთასმენა დაუტკბო. შემდეგ ქუთაისელი მომღერლებიც შეუერთდნენ და გიტარის თანხლებით ისეთი ქეიფი გაიმართა, რომ ძნელი იყო იქაურობის მიტოვება, ვიქტორმა თავისი მძღოლიც გვერდით მოისვა და დიდად ნასიამოვნებმა შესანიშნავი ამფსონობა გაუწია მასპინძლებს. ლხინი საღამომდე გაგრძელდა და ის-ის იყო უნდა აშლილიყვნენ, რომ დარბაზში სახეგაბრწყინებული შემოიჭრა მიშას მოადგილე.

— ვიშოვე, ბატონო მიშა, „აგანგალი განგალი“, თანაც „კეკელა და მაროც“ ჩავიგდე ხელში! — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა მოადგილე.

— შენს ვაჟკაცობას გაუმარჯოს, ასე უცებ როგორ მოაგვარე ეს საშური საქმე, ამ მცირე დროში ინწკირველი კალათში ბურთის ჩაგდებას ვერ მოასწრებდა! — უთხრა ჟორიამ და გადაკოცნა.

ქეიფი გვიანობამდე გაგრძელდა და დიდად კმაყოფილმა ბატონმა ვიქტორმა თითქმის დანანებით წარმოთქვა: — რა ტყუილად გამიტარებია ჩემი მთელი ცხოვრება ფორმულებსა და ინტეგრალებთან ჭიდილში, ასეთი სიამოვნება, რაც დღეს განვიცადე, არც კი მახსოვს ჩემს ცხოვრებაში!

— ბატონო ვიქტორ, ჩვენს გაფუჭებულ საქმეს ვერაფერი გამოაკეთებს, მთავარია ერთმანეთს გავაძლებინოთ და სიამტკბილობით განვვლოთ ეს წუთისოფელი! — რიხიანად შეეპასუხა გერვასი.

ბატონი ვიქტორი მოზღვავებულ სიხარულს ვერ იკავებდა, როცა მასპინძლები ჭიპილიას მარშით აცილებდნენ დედაქალაქისაკენ.

ბივი მეფისაშვილი

სტროფები

იქნება გაჭრას ამ ჩემმა
ლოცვა-ვედრებამ, აჯამა —
სულ არაფერი მასვა და
არც არაფერი მაჭამა,
ოღონდაც წაიმუშაოს
მუშამ, ფიქრმა და მაჯამა,
მოდგნენ და დამაწერინონ
ერთი ციხცხალი მაჯამა.

—:—:—

რწმუნებული მდივანივით პიწკად დადის ჰალსტუხით და სირმიანი საცვლებით, თურმე ჯამს სულ არა აქვს დარდი შუაკრებთა გადანაცვლების.

—:—:—

იქნებ ბრალი იყო ღვინის
დრამატული ვითარება —
ჩვენს პირდაპირ ბატონ მინისტრს
ცნახეთ, თავი ვით არ ება.

—:—:—

რიკულზე უდევს ზორბა მუცელი,
დამძახის: „ვინძლო ამოხვიდეო,
სად დაიკარგე, ბიჭო, წუხელის,
გიცადეთ, გვიან ჩავრთეთ ვიდეო!..“
„ხვარ დეიძინებ აწი, მამიკო?“
ბალღი კრუსუნებს: „მინდა კიდეო!“
მამა როხროხებს: „როცა არ იყო,
რას ვაკეთებდით, ნეტა, ვიდეო?!“
ბუებუვებს, შფოთავს ზორბა მუცელი
და შეასედ და მეთასედა,
ბუდეში, როგორც უხსენებელი,
შესრიალდება შავი კასეტა.

—:—:—

თუ არ ჩაიცვი შორტები,
იცოდე, ხვალვე გშორდები!

—:—:—

წავიკითხე „მე და ლამე“,
მოვიფიქრე „მე და მწერი“.
შევუტიე რითმის გამებს...
კი, ვარ ლექსის მე დამწერი.

—:—:—

ისევ დამხვდა სახლში ნელი,
მქონდა განცდა საშინელი —
უმისოდაც კარგად ვიცი —
სად „შიპრი“ და სად „შანელი“.

ბაჯო ბაჯო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკუპაციებები

აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი...
შუაში ვინ წევს — ველარ ვიცანი.

აბორტის მსხვერპლთა საზოგადოება.

მსოფლიოში ნავალი და საქართველოში განავალი (გავლით მეოფი) დიპლომატი.

პირშავები თეთრკანიანებშიც ბლომად არიან.

ფეხმრუდე

— მგონი, ფინანსთა სამინისტრომ მოიტაცა ჩვენი შვილი. საქართველოს ბიუჯეტს მთხოვენ მის გამოსახ-ყიდად.

ნახ. ვ. კუციასი

ლოგი-ზანი

ვყიდი სიტყვის ბანზე ასაგდებ მოწყობილობას.

დემა გოგია

„დეზერტირის“ ბაზართან გაიხსნა ნამუსის ქუდების და სინდისის ლეჩაქების ატელიე.

დირექცია

გავხსნით გორდიას კვანძს.

პროკურატურა

გავასუფთავებთ ავგიას თავლებს.

მერია

ვასწავლი საკუთარ იდაყვზე კბენის ხელოვნებას.

კომპანია „ოქროს თასის“ მეანაბრე

ვაქირავებ კიდობანს 2 000 წლისათვის.

ნოე

ვაკეთებ პირზე დასადებ კლიტეებს.

პირ-უტყვი

ვამზადებ პირში ჩასაჩრელ ბურთებს.

პირ-შავი

მალე მოსახლეობას დაურიგდება პირში გამოსავლები ჩალა.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვითვლი ბუზებს დისტანციაზე.

უბნის ბიჭი

ვაბრტყელებ სიტყვებს და ვავიწროებ აზრებს.

პროპორციული დეპუტატი

ვწვავ ერბო-კვერცხს ხელისგულზე.

მადლიერი შვილი

დავკარგე ხელები. მპოვნელი დასაჩუქრდება.

ვენერა მილოსელი

ვაფრთხობ ანგელოზებს.

პარლამენტარი ქალი

რიტორიკული შეკითხვები

ღალატობდა ადამი ევას? თუ — არა, რატომ მტკიცდება, რომ ადამიანი მაიმუნისაგან წარმოიშვა?

როცა ქალი სხვის დაუხმარებლად ვერ იხდის ტანსაცმელს, ეს მის სიმორცხვეს მოწმობს?

ნუთუ იუმორისტი ის სატირიკოსია, რომელსაც სიცოცხლე არ მობეზრებია?

როცა კაციჭამია დანა-ჩანგალს ხმარობს, ეს პროგრესია?

განა კარგ დისერტაციას დაცვა სჭირდება?

საერთოდ, პიროვნებას ჰყავს პირადი მცველები, თუ სავარძელს, რომელზეც ეს პიროვნება ზის?

განა სამართლიანობის გამოჩენა იოლი არ არის მაშინ, როცა გასაყოფი არაფერია?

ჯაუის კოლოფი

— მაგ კვარტეტს ახლა დუეტი მღერის, შტატები 50%-თ შემცირდა!

თემა ლ. ჩანტლაძისა, ნახ. ჯ. ლოლუასი

ცინცხალი ანეკდოტი

ამას წინათ, მოსკოვის რეისს დავსვდი აეროპორტში. ძლივს ამოვიცანი მგზავრებში ჩემი თავპირშებინტული ძმაკაცი.

— მოსკოვში გცემეს, მაგათი!..

— არა, თვითმფრინავში. სალონში რომ შევედი, ჩემი ადგილი დაკავებული დამხვდა, ერთი ქართველი მუტრუკი იჯდა არხეინად.

— მერე?

— თუ შეიძლება დამსვი, ჩემს ასოზე ზისარ-მეთქი... მერე აღარაფერი მახსოვს...

ნახ. ბ. აბაშიძისა

— მანდ ტყვილა ეძებ, ეგ იარაღი კარგა ხანია აღარ ისვრის!

— შოპარული აგურებია?

— არა, კაცო, გუშინდელი პურია, მაღაზიიდან წამოვიღე.

მუსიკოსები იუმორით

ხელმოკლეობა

— რა იყო თქვენთვის ყველაზე ძნელი, როდესაც როიალზე დაკვრას სწავლობდით? — ჰკითხეს ანტონ რუბინშტეინს.

— სწავლის ქირის გადახდა, — მიუგო გენიალურმა რუსმა პიანისტმა.

რომანსები და ფინანსები

მომღერალ ენრიკო კარუზოს ჩეკით კარგა მოზრდილი თანხა უნდა მიეღო, მაგრამ ბანკში მისვლისას თან არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა. მოლარემ ცივი უარი უთხრა ფულის მიცემაზე. კარუზო წამით ჩაფიქრდა, გადაწყვეტილება მიიღო და... ბანკის მოსამსახურეებმა მოისმინეს ბრწყინვალედ შესრულებული არია ოპერა „ტოსკადან". ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოლარეს მაშინვე გაეცა ფული.

პირადი მაგალითი

სახელგანთქმულ ფრანგ კომპოზიტორს, ოპერების „ფაუსტისა" და „რომეო და ჯულიეტას" ავტორს შარლ ფრანსუა გუნოს გაყოყოჩებული სტუდენტები არ მოსწონდა. ერთ მშვენიერ დღეს საგანგებოდ შეკრიბა ისინი და უთხრა:

— ახალგაზრდობისას ყოყლოჩინა ვიყავი, მხოლოდ ორი კომპოზიტორი მწამდა: საკუთარი თავი და მოცარტი. მერე, როცა უფრო გავითქვი სახელი, უკვე სხვაგვარად ვამბობდი: მოცარტი და მე. ხოლო ახლა, როცა საკმაოდ ცნობილი ვარ, პატივისცემითა და მოწიწებით მხოლოდ ერთ სახელსღა ვახსენებ: მოცარტი!

ხელოვნების საიდუმლოება

ერთი ბიჭი კარგად უკრავდა პიანინოს. მამამ იგი მოცარტთან მიიყვანა და სთხოვა, შეამოწმეთო.

მოცარტმა ბიჭს მოუსმინა და შეაქო.

— მარტო დაკვრა რა არის, მინდა მუსიკაც თვითონ დავწერო, მითხარით რა, როგორ იწერება, — სთხოვა ბიჭმა.

— როცა დიდი გაიზრდები, მაშინ დაწერ. ჯერ ბევრი უნდა ისწავლო, — დაარიგა ბიჭი დიდმა კომპოზიტორმა.

— თქვენ რომ თორმეტი წლისა უკვე წერდით მუსიკას?! — წამოიძახა ბიჭმა.

— მართალია, მაგრამ მე არავისთვის არ მიკითხავს, როგორ დავწერო-მეთქი, — მიუგო ღიმილით მოცარტმა.

დარბაზის დაცარიელება

დიდ იტალიელ მომღერალს ენრიკო კარუზოს ერთხელ თავისმა ახალგაზრდა კოლეგამ უთხრა:

— არ მიაქციეთ ყურადღება: გუშინ ჩემმა ხმამ როგორ აავსო დარბაზი?

— როგორ არა, ისიც კი შევნიშნე, მაყურებლის დიდი ნაწილი როგორ წამოდგა და ადგილი დაუთმო თქვენს ხმას, — მიუგო ბუნებით თავმდაბალმა კარუზომ.

თუნდაც დღესვე

დიდი იტალიელი კომპოზიტორი ჯოაკინო როსინი ერთ ოჯახში იყო მიწვეული. ქალმა მაგიდა ისე მომჭირნედ გააწყო, რომ სადილის შემდეგ სტუმარი ისევ მშიერი დარჩა.

— გთხოვთ, კიდევ მობრძანდეთ ჩვენთან სადილად, — სთხოვა მასპინძელმა.

— სიამოვნებით, — მიუგო როსინიმ, — თუნდაც დღესვე.

შურისძიების ფურცელი

ერთხელ ოპერაში ჯოაკინო როსინიმ მეზობლად მჯდომს გადაუჩურჩულა:

— ძალიან ცუდი მომღერალია, უხეირო ხმა აქვს.

— იქნებ შინ წასვლა გირჩევნიათ? — შესთავაზა მეზობელმა.

— რას ამბობთ, — მტკიცედ იუარა როსინიმ, — გადმოცემით ვიცი, რომ მაგას მესამე მოქმედებაში ქალი კლავს და მინდა დაველოდო.

კოლექციონერი

ჯოაკინო როსინის ერთი მეგობარი თავისი ნაცნობის შესახებ უამბობდა, რომელმაც ყველა დროისა და ხალხის საწამებელი იარაღის კოლექცია შეაგროვა.

— კოლექციაში ფორტეპიანო თუ იყო? — დაინტერესდა ჯოაკინო.

— ცხადია, არა.

— მაშასადამე, ბავშვობაში მუსიკა არ უსწავლია...

პირდაპირი დაპირისპირება

— რა განსხვავებაა კარგსა და ცუდ დირიჟორს შორის? — ჰკითხეს ერთხელ ცნობილ გერმანელ დირიჟორს ჰანს ფონ ბიულოვს.

— კარგ დირიჟორს პარტიტურა თავში აქვს, ცუდს კი — თავი პარტიტურაში, — მიუგო მან.

შეკრიბა და თარგმნა ზოთა ამირანაშვილმა.

აუქციონი

(ტელეთამაში)

შორენა, იგივე შოკუნა, თამაშის ჟოკეი, ანუ ფამყვანი, მაგიდაზე ზის და ფეხები სკამზე ულაგია.

— გამარჯობათ, ძვირფასებო! ჩემო კარგებო, ვიცი, რა სიდუხჭირეა დღეს, რა სიღატაკეა, ყოველგვარ მიჯნას გადავაბიჯეთ, არ გვეხუმრება და არ გვეთამაშება, მაგრამ „რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...“ ერთი სიტყვით, ჩვენმა შემოქმედებითმა ჯგუფმა გადაწყვიტა მსუბუქ თამაშში ჩაგითრიოთ. ამ თამაშს ჩვენ „აუქციონი“ დავარქვით.

აი, თქვენ ხედავთ ავანგარდული სტილით შესრულებულ ქართულ ტაბლას, სიყვარულით და რუდუნებით გამოკოპიტებულს. იგი ამ საღამოს უნდა გაიყიდოს. მყიდველი კი თქვენს შორისაა, ძვირფასო ტელემაყურებლებო!

სანამ აუქციონ-თამაშს დავიწყებდეთ, მინდა სახიამოვნო მოვალეობა მოვიხადო და მადლობა მოვახსენო ჩვენი აუქციონის სპონსორებს: ფირმა „ჩაკრულოს“, საზოგადოება „ქალკედონს“, ბანკ „კირილეს“, გაზეთ „ალილუიას“ და მხატვარ გიგი ხერთვისელს, ამ განუმეორებელი ნაკეთობის ავტორს.

მაშ, ასე: ტაბლის საწყისი ფასი სიმბოლურია — 200 დოლარი, ან მისი ექვივალენტი: ერთი მილიონი რუბლი, ან 250 მილიონი კუპონი. ველით თქვენს ზარს. ტელეფონის ნომრები მოძრავ სტრიქონზე წერია...

მანამდე კი ერთ ვიდეოკლიპს გაჩვენებთ, რომელიც პირველად გადაიღო ჩვენმა უნიჭიერესმა მხატვარმა და ამჯერად, რეჟისორმა, გიგი ხერთვისელმა. აი, ისიც!.. გიგი, ჩემო სიცოცხლევ, აქეთ მოიწი და აგვიხსენი, რანაირად ახერხებ ამნაირი ფანტასტიკური კლიპების გადაღებას... თუმცა, ალბათ, მაგის ახსნა შეუძლებელია.

გიგი (კევს ღეჭავს) — ცხადია, შეუძლებელია, შოკუნა... მე თვითონ დაშოკილში ვარ ხოლმე, რასაც ვიწყებ, გაგებაში არა ვარ, რა გამომივა...

შორენა — წინასწარ ხო ემზადები ხომ?..

გიგი — რა თქმა უნდა. ვიმარაგებ საგნებს... ანტურაჟს, რა!

შორენა — აი, ამ საგნებით შეგიძლია კლიპი გააკეთო?

გიგი — შემიძლია!

შორენა — არ გამაგიჟო!

გიგი — ოღონდ... რამდენიმე საგანი დამჭირდება დამატებით: ცოცხი, აქანდაზი, სანაგვე კონტეინერი და წითელი უნიტაზი.

შორენა — რა ტალანტი ხარ!.. მაპატიე, ტელეფონის ზარია... გისმენ, საყვარელო! რამდენს იხდით? 250 დოლარს? თქვენი ვინაობა... ტელეფონი... ვიწერ... დიდი მადლობა!.. კიდევ ზარია. გისმენთ! რამდენი?.. სამასი?.. ვიწერ! გიგი, ხედავ, რა მაყურებელი გვყავს? ზარია!.. გისმენთ! რამდენი? ათასი? ვიწერ თქვენს ვინაობას და კოორდინატებს, შემოგევლე!.. გიგი, გაგიჟდები!.. გისმენთ!.. რ-რ-რამდენი?! 2 800 დოლარი?! სიხარულისაგან ენა მებმება... ვიწერ... გიგი, რა ხდება?!. გისმენთ... რა ბრძანეთ? 5 500 დოლარი?!. კი, ჩემო სიცოცხლევ, ვერავინ შეგეცილებათ... ვიწერ თქვენს ვინაობას და ტელეფონს... დაგირეკავთ უმოკლეს დროში... მაკაკო, გამოთიშეთ ტელეფონები!.. გიგი, თავბრუ მეხვევა, არ მეგონა, ასეთი გამგები და გვერდში დამდგომი მაყურებელი თუ გვყავდა... ვრეკავ გამარჯვებულთან...

— ალო!.. ნაპოლეონ სააკაძეს თხოვეთ... სად გაემგზავრა?!. ვატერლოოში შაჰ-აბასთან საომრად?!. მაპატიეთ, ეს ვისი ბინაა? ბინა არ არის? აბა? ფსიქიატრიული საავადმყოფოა?!...

კადრში ჩანს ხუთიათასხუთასდოლარიანი ტაბლა.

კადრი ქვავდება.

აუქციონერი

ნახ. ნ. სოდელისა

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

„ნიანგის“ განცხადება

შეიცვალა ჟურნალ „ნიანგის“ ბეჭედი.

ამასთან დაკავშირებით, რედაქცია აცნობებს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და პირთ, რომ კალადაკარგულად ითვლება „ნიანგის“ კორესპონდენტების პირადობის დამადასტურებელი ვადაგასული მოწმობები.

„ნიანგის“ კორესპონდენტები ვალდებულნი არიან უმოკლეს ვადაში დაუბრუნონ რედაქციას ვადაგასული წიგნაკები.



— რაიმე პრობლემა ხომ არ გაწუხებთ?

თემა ლ. ჩანტლაძისა, ნახ. ჯ. ლოლუასი

ჟურნალი „ნიანგი“, № 3-4 (1889-1890). სექტემბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორის მოადგილე, გენერალური დირექტორი
ბეჭან სიხარულიძე

პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი
ლერი ჩანტლაძე

სარედაქციო კოლეგია: ზაურ ბოლქვაძე (მთავარი რედაქტორი), მურთაზ აბაშიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, რომან მიმინოშვილი, რევაზ მიშველაძე, ალექსანდრე სამხონია, მიხეილ ქვლივიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ალექსი ჭინჭარაული.

ტექნიკური რედაქტორი
ვახტანგ დოხნაძე

გადაეცა ასაწყობად 14. 03. 95 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. 09. 95 წ., ფორმატი 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. შეკვ. № 273. ტირაჟი 2 000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პრ. № 42.

ტელეფონები: განყოფილებათა გამგეების — 93 10 78, 93 49 32; მდივან-მემანქანის — 99 76 69.

ინდექსი 76137

ფასი 50 თეთრი
(ორი ნაყინი)

ნახ. ბ. პეტრიაშვილისა